როგორც მუნიციპალიტეტებმა, ისე - ბავშვთა დაწესებულებებმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში უნდა უზრუნველყონ უვნებელი წყლის მისაწვდომობა მოსახლეობის ფართო მასებისთვის, განსაკუთრებული ყურადღება კი ბავშვთა და ქალთა საჭიროებების - ჰიგიენისა და სანიტარული პირობების დაცვის საკითხებს უნდა დაეთმოს.

## რომელ ორგანოს მივმართოთ, თუ ვთვლით, რომ წყლის დაბინძურების შემთხვევაა?

თუ თვლით, რომ თქვენს თემში, სკოლასა თუ ბაღში არსებული სასმელი ან სამეურნეო გამოყენების წყალი დაბინძურებულია, შეგიძლიათ მიმართოთ შესაბამისი დაწესებულების ადმინისტრაციას, სურსათის უვნებლობის სააგენტოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

**სახალხო დამცველის აპარატის მიერ გაწეული სამსახური უფასოა და ხორციელდება კონფიდენციალურობისა და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით**



**არ დააბინძურო გარემო!**

**სადღეღამისო ცხელი ხაზი**

**1481**

## სახალხო დამცველის ოფისები

### თბილისი
- დავით აღმაშენებლის გამზირი N150
- სადღეღამისო ცხელი ხაზი: 1481
- info@ombudsman.ge
- https://www.fb.com/OmbudsmanofGeorgia/

### ბათუმი
- დუმბაძის N10
- 0422 27 60 32
- 577 50 52 31

### ქუთაისი
- შოთა რუსთაველის N18
- 0431 25 33 50
- 577 55 33 81

### ზუგდიდი
- მერაბ კოსტავას N58
- 0415 22 36 11
- 595 52 53 56

### ზემო სვანეთი
- მესტია, სეტის მოედანი N19
- 591 50 82 62

### ოზურგეთი
- ილია ჭავჭავაძის N14
- 0496 27 30 53
- 599 49 48 59

### ახალქალაქი
- ილია ჭავჭავაძის N4
- 0362 22 32 83
- 591 96 88 82

### გორი
- სამების N1
- 0370 27 05 49
- 551 66 14 77

### მარნეული
- შოთა რუსთაველის N51
- 0357 22 19 70
- 595 52 53 57

### თელავი
- საავაძის მოედანი N1
- 0350 27 99 27
- 591 88 35 38

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ სახალხო დამცველის აპარატი და პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.

საქართველოს სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER (OMBUDSMAN) OF GEORGIA

# ჩვენ გვაქვს უფლება უსაფრთხო წყალსა და სანიტარიაზე




www.ombudsman.ge

### რას გულისხმობს წყლის უფლება?

ყოველ ჩვენგანს აქვს უფლება მიიღოს საკმარისი ოდენობის, უსაფრთხო, ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყალი, როგორც პირადი, ისე საყოფაცხოვრებო მოხმარებისათვის.

გაეროს მდგრადი განვითარების (SDG) მიზნებიდან გამომდინარე, მოსახლეობისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს წყლის მდგრადი მართვისა და სანიტარული ნორმების დაცვის საყოველთაო მისაწვდომობა.

### რა ვალდებულება აკისრიათ სკოლებსა და ბაღებს წყლის და სანიტარიის დაცვის სფეროში?

სკოლებსა და ბაღებში მუდმივად უნდა იყოს ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი სასმელი და სამეურნეო გამოყენების წყალი; დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს სკოლის შენობაში სანიტარული ნორმების დაცვაზე მუდმივი ზედამხედველობა და ხარვეზების შემთხვევაში დროული რეაგირება.

სკოლებს, ბაღებს და საავადმყოფოებს უნდა ჰქონდეს სანიტარიულ-ტექნიკური საშუალებები და ჰიგიენის უზრუნველყოფის შესაძლებლობა.

სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვთა დაწესებულებებში წყლის ჰიგიენური გამოყენების სწავლება, სუფთა სასმელ წყალზე მოსახლეობის მოთხოვნილების პირველ რიგში დაკმაყოფილება; სახელმწიფოს აქვს პირდაპირი ვალდებულება, მოახდინოს წყლის რესურსებისა და წყლის დანაკარგის შემცირების მეთოდების დაცვა.




### როგორ შევუწყოთ ხელი წყლის დაცვასა და სანიტარული პირობების გაუმჯობესებას?

- აქტიურად ჩავერთოთ სკოლებსა თუ თემში წყლის და სანიტარიის დაცვის პოლიტიკის დანერგვაში
- ხელი შევუწყოთ წყლის რაციონალურ გამოყენებას
- მონაწილეობა მივიღოთ ჰიგიენური განათლების სწავლების პროცესში
- არ დავაბინძუროთ სასმელი და სამეურნეო გამოყენების წყალი

### რას გულისხმობს წყლის ხელმისაწვდომობის უფლება?

წყლის ხელმისაწვდომობა მოიცავს შემდეგ ოთხ მიმართულებას:

- ფიზიკური ხელმისაწვდომობა;
- ეკონომიკური ხელმისაწვდომობა;
- არადისკრიმინაციულობა;
- წყლის შესახებ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა.

### რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს წყლის უვნებლობასთან დაკავშირებით?

გაეროს ბავშვის უფლებების კონვენციის თანახმად, ბავშვები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ უსაფრთხო წყლით სკოლებში და ოჯახში.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის თანახმად, ზედამხედველობაზე პასუხისმგებელმა ორგანოებმა რეგულარულად უნდა შეაფასონ სასმელი წყლის მიღებასთან დაკავშირებული ჯანმრთელობის რისკი და ხარისხი.

### რა ზიანი შეიძლება მიადგეს ბავშვს წყლის დაბინძურების შედეგად?

დაბინძურებული წყლის მიღება იწვევს სხვადასხვა დაავადებებს, მათ შორის მაღალია დიარეული და ინფექციური დაავადებების, მალარიისა და ჰელმინტური ინფექციების წარმოშობის რისკი. გარდა ამისა, დაბინძურებული წყალი აფერხებს ბავშვის ფიზიკურ განვითარებას და ამცირებს მის შემეცნებით უნარებს.

### რა ღონისძიებები უნდა გატარდეს წყლის უფლების დასაცავად?

სახელმწიფომ მომეტებული ყურადღება უნდა გაამახვილოს საბავშვო ბაღებში, სკოლებსა და არასრულწლოვანთა განთავსების სხვა დაწესებულებებში წყლის უვნებლობასა და სანიტარიის დაცვაზე.

